უფლების დათმობის ხელშეკრულება

წინამდებარე უფლების დათმობის ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) შედგენილია 2016 წლის 25 ივლისს („**ხელმოწერის დღე**“).

შემდეგ მხარეთა შორის

(1) შ.პ.ს. „კავკასუს ონლაინი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 211380833), იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი ნიკოლოზ ჭიაურელის სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „**ცედენტი**“,

(2) შ.პ.ს. „მაგთიკომი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204876606) იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქუჩა 7, რეკვიზიტები (ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი: ბანკის კოდი № UGEBGE22, ბანკის კოდი, ა/ა GE73VT6600000000423607) კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ქალბატონი ნათია კახიძის სახით, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „**ცესიონერი**“, და

(3) „ჯისეივი სატელეკომის ს

ვინაიდან, ***ნასყიდობის ხელშეკრულება*** ითვალისწინებს კონკრეტულ თარიღს, რომელ თარიღზეც ***ცედენტზე*** კუთვნილი გარკვეული საოპერაციო აქტივები გადადის ***ცესიონერის*** საკუთრებაში და რომელი თარიღიც ***ძალაში შესვლის თარიღამდე*** ეცნობება ***შემსყიდველს*** წინასწარ („**ძალაში შესვლის თარიღი**");

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ***მხარეები*** ადასტურებენ და თანხმდებიან შემდეგზე:

1. **ძალაში შესვლის თარიღზე** და აღნიშნული თარიღიდან ***ცედენტი*** გადასცემს ***ცესიონერს მომსახურების ხელშეკრულებით*** განსაზღვრულ ყველა თავის უფლებასა და ინტერესს.

2. **ძალაში შესვლის თარიღზე** და აღნიშნული თარიღიდან, ***ცესიონერი*** ხდება **მომსახურების ხელშეკრულების** მხარე და თანხმობას აცხადებს გააგრძელოს **მომსახურების** მიწოდება, ხოლო თავის მხრივ ***შემსყიდველი*** თანხმობას აცხადებს გადაუხადოს ***ცესიონერს მომსახურების ხელშეკრულებით*** განსაზღვრული მომსახურების საფასური, რომელიც წარმოიშობა ***ძალაში შესვლის თარიღიდან*** და შემდგომ პერიოდში, აგრეთვე თანხმობას აცხადებს კეთილსინდისიერად დაიცვას ***მომსახურების ხელშეკრულებით*** გათვალისწინებული პირობები.

3. ***მხარეები,*** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აღიარებენ, რომ ***მხარეების*** მიერ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულება და შესრულება, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგებების შესრულება არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს რომელიმე მხარის სადამფუძნებლო აქტის, წესდების, ან რაიმე სხვა სახის ორგანიზაციული დოკუმენტის, აგრეთვე იმ კანონის ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, რომლებიც ვრცელდება ასეთ მხარეზე, რაიმე სახის დარღვევას ან შეუსრულებლობას.

4. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა მისი ხელმოწერის დღეს ***მხარეთა*** უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ძალაში შედის **ძალაში შესვლის თარიღზე**.

5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ყველა მხარის მიერ.

ცედენტის სახელით

/ნ. ჭიაურელი/ /_____/

ცესიონერის სახელით

/ნ. კახიძე/ /_____/

შემსყიდველის სახელით

/_____/